საქართველო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება

№ 108

ქალაქი ქუთაისი 28 თებერვალი 2024 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2023 წლის 28 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: ხათუნა არველაძისა და ლაშა შალამბერიძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30[1] მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 35-ე მუხლის მე-9 და მე-14 პუნქტებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2023 წლის 28 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: ხათუნა არველაძისა და ლაშა შალამბერიძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ“** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო შემდეგი **გადაწყვეტილება:**

„მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2023 წლის 28 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს:

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 280
29 02 2024 წ.

ხათუნა არველაძესა და ლაშა შალამბერიძეს შეწყვეტილი აქვთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის უფლებამოსილება.

2. 2024 წლის 28 თებერვლიდან:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ხათუნა არველაძე საქმიანობას წყვეტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებში, როგორც საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ამ კომისიებში წარდგენილი წევრი.

ბ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ლაშა შალამბერიძე საქმიანობას წყვეტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიებში, როგორც საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ამ კომისიებში წარდგენილი წევრი.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილება აისახოს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №13 განკარგულებაში. შესაბამისი განკარგულების პროექტი იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28 თებერვლის 52-ე სხდომის საოქმო გადაწყვეტილება წინამდებარე ბრძანების დედანს თან ერთვის) “

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია